

# მარცვლეული მეურნეობის განვითარების ოპტიმიზირებული პროგნოზული ტექნიკურ-ეკონომიკური პარამეტრები

**ომარ ქეშელაშვილი**-საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი,  
**პაატა კულუაშვილი**- საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

**საკვანძო სიტყვები:** მარცვლეული მეურნეობა, ახლებური ხედვა, ოპტიმიზირებული პროგნოზი

## რეზიუმე

გამუშეულია სოფლის მეურნეობის დარგისა და მ.შ. მარცვლეული მეურნეობის განვითარების ახლებური ხედვა. მოცემულია ოპტიმიზირებული პროგნოზული ვარიანტი 2025 წლამდე პერიოდი-სათვის საქართველოში ხორლისა და სიმინდის ნათესი ფართობების, მოსავლიანობებისა და პრო-დუქციის წარმოების მოცულობების შესახებ, აგრეთვე ერთ სულ მოსახლეზე ხორბლისა და სიმინდის წარმოების დონეები. ჩამოთვლილია წარმოების პროგნოზული მასშტაბების მისაღწევად საჭირო ფაქტორები და პირობები.

საქართველოში, მარცვლეული მეურნეობის განვითარება უნდა ეფუძნებოდეს მთელი სოფლის მეურნეობის დარგის განვითარების ახლებური ხედვას, რომელიც შემდეგნაირად უნდა ჩამოყალიბდეს: სოფლის მეურნეობა, როგორც თვალსაწიერ ისე შორეულ პერსპექტივაში ორიენტირებული უნდა იყოს საბაზრო ურთიერთობათა მოტივაციებისა და მოთხოვნების შესაბამის მდგრად და უსაფრთხო განვითარებაზე, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს ურთიერთშეწონასწორებული, ზონალურად დიფერენცირებული ეკონომიკურ-ტექნოლოგიური გარემოს შექმნასა და სრულყოფას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევებს, მტკიცე საწარმოო და სოციალურ ინფრასტრუქტურას, სამეურნეო რისკის მოთხოვნების შესაბამის ეკონომიკურ მექანიზმსა და ინსტიტუციურ სისტემას, რამაც უნდა შექმნას საფუძველი სასურსათო უსაფრთხოებისა და ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად, სოფლად სოციალური ვითარების გასაუმჯობესებლად.

ამის შესაბამისად, მრავალ ფაქტორთა გათვალისწინებით, სოფლის მეურნეობის განვითარების პროგნოზული (პერსპექტიული) პარამეტრები დამუშავდა ორ (პესიმისტურ და ოპტიმისტურ) ვარიანტად, რომელსაც სარეკომენდაციო ხასიათი აქვს

პესიმისტურ ვარიანტში შენარჩუნებულია სოფლის მეურნეობის განვითარების არსებული კანონზომიერებანი და ტენდენციები, წარმოების ზრდის დაბალი ტემპები. ოპტიმისტურ ვარიანტში კი გათვალისწინებულია შედარებით მაღალი ტემპები, იმ ანგარიშით, რომ მაქსიმალურად დაკმაყოფილდეს მოსახლეობის მოთხოვნილება, პირველ რიგში, მარცვლეულზე, კარტოფილზე, ბოსტნეულზე და მეცხოველეობის პროდუქტებზე. ამასთან, გათვალისწინებულია ქვეყნისათვის მაროფილებელი დარგების ოპტიმალური დონის შენარჩუნება საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნათა შესაბამისად.

ეკონომიკური პარამეტრების გათვლის შედეგად გამოვლინდა, რომ: ოპტიმიზირებული ვარიანტით, 2025 წლისათვის, საშემოდგომო ხორბლის ფართობის ოპტიმალურ ზღვრად მიჩნეულია: 114,0 ათასი ჰა, მოსავლისა-421,8 ათასი ტონა, სიმინდისა: 170,0 ათასი ჰა (მ,შ, სამარცვლე 120,0 ათასი ჰა) და 714,0 ათასი ტონა, ლობიოსი: 13,0 ათასი ჰა და 14,0 ათასი ტონა.

როგორც პროგნოზული გაანგარიშება ადასტურებს, სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია შესაძლებელია გაიზარდოს 2025 წელს პესიმისტური ვარიანტით 4717.4 მლნ ლარამდე და ოპტიმისტური ვარიანტით 5774.0 მლნ ლარამდე, მათ შორის მეცენარეობის პროდუქცია შესაბამისად 2442.9 და 3197.7 მლნ ლარამდე, მეცხოველეობის პროდუქცია კი-2274.5 და 2576.3 მლნ ლარამდე.

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ოპტიმიზირებული მოდელის შესაბამისად გათვლილია ასევე ორ ვარიანტად პერსპექტიული პარამეტრები ცალკეული რეგიონების (მხარეების) მიხედვით.

თვალსაწიერი (2025 წ) პერიოდისათვის, რომელშიც სრულადაა ასახული ბუნებრივ-ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარე მათი პოტენციური შესაძლებლობები, დადგინდა შემდეგი პარამეტრები:

კერძოდ, დადგინდა რომ ხორბალი დიდი მოცულობით წარმოებული იქნება კახეთში, 2025 წელს საქართველოში მოსალადნელი წარმოების 45,7 %, შიდა ქართლში-23,0 %, ქვემო ქართლში-20,2 %; სიმინდი-იმერეთში-31,3 % და სამეგრელო-ზემო სვანეთში 30,4 %;

### **სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროგნოზული მასშტაბების მისაღწევად საჭიროა:**

- სელექციისა და მეთესლეობის გაუმჯობესება და კულტურათა თესვა მაღალმოსავლიანი ჯიშებით;
- სარგავი მასალის წარმოების ტექნიკური ბაზის გადაიარაღება;
- მცენარეთა დაცვის ინტეგრირებული სისტემის ზედმიწევნით მიზნობრივი და სრულყოფილი გატარება;
- არსებული სარწყავი სისტემებისა და მცირე ქსელების სრულ მზადყოფნაში მოყვანა, მათი რეაბილიტაციისა და განახლების საფუძველზე;
- მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით მომარაგებისა და გამოყენების ზონალურ-დიფერენცირებული რეკომენდაციების დამუშავება და დანერგვა;
- პროდუქციის გადამუშავების (მ.შ. ექსპრეს-გადამუშავების), გასაღების, წარმოების საშუალებებით მომარაგებისა და საწარმოო მომსახურების ტიპის დამოუკიდებელი და მინი-ინტეგრირებული საწარმოების (კო-ოპერატივების და სხვა ფორმის) შექმნა;
- სახელმწიფო დაკვეთებისა და შესყიდვების მექანიზმის შემუშავება და ამოქმედება;
- საბაზრო სემინტების სწორად შერჩევა და პროდუქციით გაჯერების სტაბილურობის მიღწევა.
- სამეურნეო რისკის მართვა;
- წარმოების ოპტიმიზაციისა და მდგრადი განვითარების ეკონომიკური მოდელების შექმნა და მისი რეალიზაციის ეკონომიკური მექანიზმის დამუშავება.

ზემოთ აღნიშნული, პროგნოზული პარამეტრები შეესაბამება იმ პოზიციას, რომ ჯერ თანდათან უნდა დავძლიოთ წლობით დაგროვილი კრიზისული ვითარება და დონე, არაინტენსიური განვითარების ტემპი და თანდათან გადავიდეთ პროგრესულ ტექნოლოგიებზე.

ასეთი მიდგომითა და სტრატეგიული მოტივაციების რეალიზაციით საქართველოს შეუძლია მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანა გახდეს.

ეს, რომ რეალობად იქცეს აუცილებელია სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიური განვითარება.

წარმოების ინტენსიური განვითარების აუცილებლობა გაპირობებულია მსოფლიო გლობალიზაციის შეუქცევადი პროცესით, როდესაც მაქსიმალურად უნდა გამოვლინდეს თითოეული რეგიონის (სახელმწიფოს, მხარის, ზონის და ა.შ.) პოტენციალი, როლი და ადგილი შრომის საერთაშორისო დანაწილებაში, სპეციფიკური გეოპოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ნიშან-თვისებები და ძალხაზები, მომავლის მოდელი და წონადი სახე, პრიორიტეტული, მაგისტრალური მიმართულებები.

სოფლის მეურნეობის ინტენსიური განვითარება ნიშნავს იმას, რომ თითოეული ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული, პირუტყვისა და ფრინველის სახე მოექცეს ინტენსიური, მრავალკომპონენტური, ავტომატიზებული, პროგრამირებული ტექნოლოგიური, ბიოლოგიური და მართვის სისტემების გავლენის ქვეშ, რათა ამ კომპლექსური არსენალის ურთიერთშეჯერებული, და ერთდროული გამოყენებით მივიღოთ არა მხოლოდ აგროტექნიკურად და ზოოტექნიკურად მაღალი, არამედ ბიოლოგიური პოტენციალის შესაბამისი პროგრამირებული პროდუქცია.

#### **სოფლის მეურნეობის ინტენსიური განვითარებისათვის აუცილებელია:**

- ეკონომიკურ-ტექნოლოგიური გარემოს სწორი შესწავლა და შეფასება;
- ნიადაგური და ბიოკლიმატური პოტენციალის მაღალი დატვირთვითა და მაღალი უკუგებით, ზონალურ-დიფერენცირებული სპეციფიკის შესაბამისი გამოყენება;
- ახალი, ინტენსიურ ტექნოლოგიებზე მორგებული ჯიშებისა და ჰიბრიდების გამოყვანა და მათი ინტენსიური და ინდუსტრიული ტექნოლოგიებით მოვლა-მოყვანა;
- წარმოების ტექნოლოგიური კომპლექსის მართვის ავტომატიზებულ, პროგრამირებულ სისტემებზე გადაყვანა;
- მთელი რესურსული პოტენციალის: მიწის, წარმოების ძირითადი საშუალებების, ინტენსიფიკაციის ფაქტორების, შრომითი რესურსების, ახლებური, თანამედროვე, ინტენსიური ტექნოლოგიების შესაბამის ნორმატივებზე და ეკონომიკურ ზრდაზე ორიენტირებულ მოთხოვნებზე დაყრდნობილი, ზონალურ-დიფერენცირებული, მოდიფიცირებული გამოყენება;
- ინტენსიურ საფუძვლებზე მოწყობილი და მართვის ავტომატიზებულ სისტემურ მოდელებზე დაფუძნებული საწარმოო ინფრასტრუქტურა, რასაც არანაკლები როლი მიეკუთვნება ვიდრე თვით წარმოების პროცესს.
- წარმოების მართვაში რისკ-მენეჯმენტის ფაქტორის აუცილებელი გათვალისწინება;
- ძლიერი ინვესტიციური გარემოს შექმნა და რეგულირებული გამოყენება;
- ინოვაციური ეკონომიკის თანდათანობითი და მიზნობრივი გამოყენება.

აი, ასე სრულად და რთულად დგას ახლა, მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის წინაშე, წარმოების ინტენსიური განვითარების, გლობალიზაციის გავლენით წამოჭრილი აუცილებლობის პრობლემა.

სოფლის მეურნეობის ინტენსიური განვითარება დღის წესრიგში აყენებს არანაკლებ საჭირო პრობლემას-ეს არის ადგილობრივი ჯიშის სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოვლა-მოყვანის აუცილებლობა, ეს, განსაკუთრებით ითქმის მარცვლულ კულტურებზე.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს სოფლის მეურნეობისათვის, თვალსაწიერ პერსპექტივაში, განვითარების მარკეტინგული მოდელისა და პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისად დამახასიათებელი იქნება შესაბამისი ტექნიკურ-ეკონომიკური პარამეტრები (რომლებიც უნდა მივიჩნიოთ მეცნიერულად დასაბუთებულ სარეკომენდაციო დონეებად). სტატისტიკური მასალა (ობტიმიზირებული ვარიანტების სახით), ცხრილებად წარმოდგენილია ქვემოთ.

**მარცვლული კულტურების ფაქტობრივი ნათესი ფართობი (ათასი ჰა)**

სასოფლო-სამეურნეო კულტურები	საქართველო	მათ შორის რეგიონები									
		აჭარა	იმერეთი	სამეგრელო-ზემო სვანეთი	გურია	რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი	შიდა ქართლი	მცხეთა-მთიანეთი	კახეთი	ქვემო ქართლი	სამცხე-ჯავახეთი
სულ ნათესი მ.შ. (2008წ) 2000წ.	329,8	*	51,7	45,1	*	*	29,0	*	114,4	34,5	26,4
ხორბალი	48,6	-	*	-	-	-	8,2	*	29,2	7,2	*
სიმინდი სამარცვლე	146,2	*	*	41,2	8,2	*	*	*	26,8	8,1	*
სულ ნათესი მ.შ. (2014წ)	316,6	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
ხორბალი	51,9	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
სიმინდი სამარცვლე	155,4	-	-	-	-	-	-	-	-	-	-

შენიშვნა: \* ამ რეგიონის მონაცემები სტატისტიკურ პუბლიკაციაში არ არის მოცემული

**მარცვლული კულტურების ნათესი ფართობი (ათასი ჰა)  
(პროგნოზი, ობტიმიზირებული - 2025 წ)**

ს/ს კულტურები	საქართველო	მათ შორის რეგიონები									
		აჭარა	იმერეთი	სამეგრელო-ზემო სვანეთი	გურია	რაჭა-ლეჩხუმი	შიდა ქართლი	მცხეთა-მთიანეთი	კახეთი	ქვემო ქართლი	სამცხე-ჯავახეთი
1	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
სულ ნათესი	605	8,9	78,0	68,4	18,5	6,8	60,6	34,7	150,0	117,7	61,4
ხორბალი	114,0	-	0,7	-	-	-	26,3	5,3	52,2	23,0	6,5
სიმინდი მ.შ.სამარცვლე	170,0	4,0	53,3	51,9	11,2	3,5	4,7	6,5	16,8	15,4	2,8
ლობიო	13,0	0,12	0,5	0,3	0,06	0,02	3,8	3,8	2,8	1,0	0,6

**მარცვლული კულტურების ფაქტობრივი მოსავლიანობები (ც/ჰა)**

სასოფლო-სამეურნეო კულტურები	საქართველო	მათ შორის რეგიონები									
		აჭარა	იმერეთი	სამეგრელო-ზემო სვანეთი	გურია	რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი	შიდა ქართლი	მცხეთა-მთიანეთი	კახეთი	ქვემო ქართლი	სამცხე-ჯავახეთი

2008წ												
ზორბალი	17,0	-	*	-	-	-	14,0	*	18,0	19,0	*	
სიმიინდი სამარცვლედ	23,0	*	21,0	24,0	45,0	*	*	*	20,0	23,0	*	
2014წ												
ზორბალი	13,0	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
სიმიინდი სამარცვლედ	23,0	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-

**მარცვლეული კულტურების მოსავლიანობები (ც/ჰა)  
(პროგნოზი, ოპტიმიზირებული 2025 წ.)**

სასოფლო-სამეურნეო კულტურები	საქართველო	მათ შორის რეგიონები									
		აჭარა	იმერეთი	სამეგრელო ზემო სვანეთი	გურია	რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი	შიდა ქართლი	მცხეთა-მთიანეთი	კახეთი	ქვემო ქართლი	სამცხე-ჯავახეთი
1	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
ზორბალი	37,0	-	33,0	-	-	-	36,0	35,0	40,0	35,0	33,0
სიმიინდი სამარცვლედ	42,0	39,0	47,0	45,0	47,0	41,0	42,0	42,0	45,0	42,0	39,0

**მარცვლეული კულტურების პროდუქტების წარმოების ფაქტობრივი მოცულობები (ათასი ტონა)**

სოფლის მეურნეობის პროდუქტები	საქართველო	მათ შორის რეგიონები									
		აჭარა	იმერეთი	სამეგრ. ზემო სვანეთი	გურია	რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი	შიდა ქართლი	მცხეთა-მთიანეთი	კახეთი	ქვემო ქართლი	სამცხე-ჯავახეთი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
ზორბალი (საშემ. საგაზ.) 2008წ	80,3	-	0,3	-	-	-	11,3	2,0	52,7	12,4	1,6
ქერი (საშემ. საგაზ.) 2008წ	49,3	-	0,070	-	-	-	4,7	0,6	18,7	0,6	24,6
სიმიინდი სამარცვლედ 2008წ	328,2	3,8	97,2	95,0	37,7	10,3	6,8	6,2	51,6	17,3	2,4
ზორბალი (საშემ. საგაზ.) 2014წ	50,2	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
ქერი (საშემ. საგაზ.) 2014წ		-	-	-	-	-	-	-	-	-	-
სიმიინდი სამარცვლედ 2014წ	347,2	-	-	-	-	-	-	-	-	-	-

**მარცვლეული კულტურების პროდუქტების წარმოების მოცულობები (ათასი ტონა)  
(პროგნოზი, ოპტიმიზირებული 2025 წ)**

სასოფლო-სამეურნეო კულტურები	საქართველო	მათ შორის რეგიონები									
		აჭარა	იმერეთი	სამეგრ.ზ.სვანეთი	გურია	რაჭა-ლეჩხ. ქვ.სვანეთი	შიდა ქართლი	მცხეთა-მთიანეთი	კახეთი	ქვემო ქართლი	სამცხე-ჯავახეთი
ხორბალი	421,8	–	2,6	–	–	–	97,3	19,6	193,1	85,1	24,1
ქერი	160,0	–	0,2	–	–	–	26,4	5,2	23,0	32,2	73,0
შვრია	50,0	–	–	–	–	–	3,0	4,8	24,8	13,2	4,2
სიმინდი მარცვლად	714,0	16,8	223,8	217,6	47,0	14,7	19,7	27,3	70,6	74,7	11,8
ლობიო	14,05	0,30	0,90	0,5	0,20	0,05	2,0	2,6	4,7	1,7	1,1
ჭვავი	5,4	–	–	–	–	–	–	–	–	3,0	2,4
ბარდა	9,6	–	0,90	0,30	1,6	–	0,80	0,40	0,10	5,5	–
სოიო	12,0	–	3,8	7,7	0,1	–	0,4	–	–	–	–

როგორც ითქვა, თვალსაწიერი (2025 წ) პერიოდისათვის, რომელშიც სრულადაა ასახული ბუნებრივ-ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარე მათი პოტენციური შესაძლებლობები, დადგინდა რომ ხორბალი დიდი მოცულობით წარმოებული იქნება კახეთში, 2025 წელს საქართველოში მოსალადნელი წარმოების 45,7 %, შიდა ქართლში-23,0 %, ქვემო ქართლში-20,2 %; სიმინდი-იმერეთში-31,3 % და სამეგრელო-ზემო სვანეთში 30,4 %;

## **Grain crop development prognosis and technical-economic options**

**Omar Keshelashvili**-Academician-Secretary of Economic Department of Georgian Academy of Agricultural Sciences, Academician,

**Paata koruashvili**- Academician of the Georgian Academy of Agricultural Sciences.

**Key words:** cereal farming, new vision, optimized forecast.

### **Abstract**

The paper highlights new vision for cereal crop management development within agriculture sector. The optimized prognostic variant is given for the period of 2025 on the area of horticultural and maize crops in Georgia; data of their production on per capita. The factors and conditions required to achieve the predictive scale of production are listed.